პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 ივლისი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 132 (9543) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ყველაფერი!

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!“

ამ დევიზით დაიწყო საკავშირო კონკურს-დათვალიერება, რომელსაც ერთობლივად ატარებენ ნებაყოფლობითი პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭო და გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“. კონკურს-დათვალიერება დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს ეძღვნება.

ეს ღონისძიება ფიზკულტურულ კოლექტივებში მატერიალურ-სპორტული ბაზის შექმნა-განმტკიცებისა და მშრომელთა შორის მასობრივ-გამჯანსაღებელი მუშაობის გააქტიურების რეალური შესაძლებლობას იძლევა. კონკურს-დათვალიერებაში უნდა ჩაერთოს ყველა რაიონი და ქალაქი. რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება? რეკომენდებულია ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საერთო საცხოვრებლებში, საზოგადოდ, შრომით და სასწავლო კოლექტივებში, ტურისტულ ბაზებში, საცხოვრებელ მიკრორაიონებში შევქმნათ კომპლექსური სპორტული ბაზა და სათამაშო მოედნები, მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ზოლი, მოვაწყოთ მარტივი საცურაო აუზი, სასროლი ტირი, მინისტადიონი, ჯანმრთელობის ზონა და ტრასა. საკონკურსო პირობებით დათვალიერებაში მხოლოდ ის სპორტული ბაზები იქნება ჩართული, რომლებიც 1987 წლის პირველ ნოემბრამდე გაშენდება.

სამ საუკეთესო კოლექტივს მოკავშირე რესპუბლიკებში გადაეცემათ 10 ათასი მანეთის ფულადი პრემია. გარდა ამისა, პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სამი საუკეთესო საქალაქო ორგანიზაცია მიიღებს 5 ათასი მანეთის სპორტულ ინვენტარს, რაიონებისა—3 ათასი მანეთისას (სამი კოლექტივი), 2 ათასი მანეთის სპორტული ინვენტარით დაჯილდოვდება სამი საუკეთესო სპორტული კლუბი.

კოლექტივებმა ამთავითვე უნდა გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები. ჩვენი გაზეთი სისტემატურად გააშუქებს კონკურს-დათვალიერების შედეგებს. პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ და „ლელოს“ რედაქციამ შექმნეს ერთობლივი შტაბი, რომელიც გაუძღვება ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების მაღალ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებას.

მოგვწერეთ, წარმატებას გისურვებთ!







ავტოსამოდელო სპორტს დიდი ინტერესით ეტანება ჩვენი ახალგაზრდობა. სურათებზე: ზევით — რესპუბლიკის ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი; ქვევით — ასპარეზობის მომენტები.

ს. ვართანესოვის ფოტოები.

მოწმდება მზადყოფნა

ახლოვდება სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ფინალური ასპარეზობები. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შტაბმა, რომელიც დიდი ხანია ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივების თამაშებისთვის მზადებას, გუშინდელი სხდომიდან დაიწყო სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩვენი გუნდების მზადყოფნის საკითხების განხილვა. ამჯერად შტაბის წევრთა წინაშე წარსდგნენ ფარიკაობასა და ფრენბურთში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრები და მათი ხელმძღვანელები.

• • •

საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა თამაშების ჩატარების ხელმძღვანელების რესპუბლიკური შტაბის სხდომა. იმსჯელეს თამაშებისთვის სპორტული ბაზების მზადყოფნის შესახებ. აღინიშნა, რომ სადღეისოდ ბაზები სრულ მზადყოფნაშია, განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა ქუთაისში. განიხილეს აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ინფორმაცია

კოლუმბიაში მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში 3 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერობს ქართველი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე. მან ოთხი პარტია მოიგო და დაუზავდა ერევნელ დიდოსტატ არშაკ პეტროსიანს.

დონეცკში გაიმართა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჭაბუკ მძლეოსანთა პირადი პირველობა, სადაც თბილისელმა მამუკა არონაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა 400 მეტრზე რბენაში — 50,1 წ. არონაშვილის თანაგუნდელმა მალხაზ ლაშხიძემ კი 100 მეტრი 11 წამში გაირბინა და მესამე ადგილი დაიკავა.

დიდოსტატი აუტსაიდერთან მარცხდება

სუბოტიცის (იუგოსლავია) მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირის XIII ტურში პირველი წაგება განიცადა მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხეილ ტალმა. ყველასთვის მოულოდნელად იგი დამარცხდა ტურნირის ერთ-ერთ აუტსაიდერთან, ინდოეთის წარმომადგენელ დევაკ პრასადთან. ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა სძლია უნგრელ ზოლტან რიბლის, ვასილი სმისლოვისა და ინგლისელ ჯონათან სპილმენის პარტია კი ყაიმით დამთავრდა. ალექსანდრე ჩერნინი ამ დღეს თავისუფალი იყო.

XI ტურის გადადებულ პარტიაში დაზავდნენ საქსი და სმისლოვი. XII ტურში როდრიგესმა მოუგო პოპოვიჩს, ერნსტმა — ქსუტალისა და შორტის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, 13 ტურის შემდეგ შორტს 9 ქულა აქვს, სპილმენს— 8,5, რიბლის — 8, ტალს — 7,5. ტურნირის დამთავრებამდე 4 ტურია დარჩენილი.

მედალი... გატეხილი ღამის შემდეგ

თბილისელები ოლეგ კორნიენკო და ოთარ მჭედლიშვილი პრიზიორთა შორის

ჯერ რამდენიმე სიტყვა ვ. ტრავიანსკაიას წერილში — „სასტუმროს ციებ-ცხელება“ მოყვანილი ერთი ფაქტის შესახებ (გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“, 1987 წლის 7 ივლისი). კორესპონდენტი ამ მასალას მკითხველს ტალინიდან აწვდის, სადაც ამ ქალაქის დიდი პრიზი გათამაშდა ველოსპორტში.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში შეიარაღებულ ძალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ნიკიფოროვი თავის ველოსიპედისტებთან ერთად დაეხეტებოდა ტრეკიდან სასტუმროში და უკან და ღამის გასათევად ადგილს ეძებდა. ამ დროს კი ესტონეთის სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ტ. კოიტნურმი თურმე ხელებს შლიდა და უადგილოდ დარჩენილ ველოსიპედისტებს უხსნიდა, თუ რა ძნელია ტალინის სასტუმროში ადგილის შოვნა. მასპინძლის სიტყვები ვერაფერი ნუგეში იყო უსახლკაროდ დარჩენილთათვის და არმიელმა სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ო. მჭედლიშვილისა და ვერცხლის პრიზიორის ს. იგნატოვის მეთაურობით ჯოჯოხეთური ღამე გაატარეს სასტუმროს ვესტიბიულში სკამებზე.

ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ სხვა საზოგადოებების ველოსიპედისტებიც, მეორე დღეს კი „ტალინის დიდი პრიზის“ მონაწილენი სტარტზე გავიდნენ. ძნელი გასაგები არ არის რა დღეში იქნებოდნენ ისინი. სწორედ ამიტომ ო. მჭედლიშვილის მიერ დაკავებული მესამე ადგილი სპრინტერთა ტურნირში ურიგო შედეგად არ უნდა მივიჩნიოთ.

„ტალინის დიდი პრიზის“ პარალელურად ესტონეთის დედაქალაქში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გათამაშდა წყვილთა რბოლაში გამოდევნებით 4 კილომეტრზე. ოქროს მედლები აქ არმიელებმა ლუპოლენკომ და ლიაპინშმა მოიპოვეს. ვერცხლის მედლებიც არმიელთა მეორე დუეტს დარჩა, ოღონდ ამ წყვილის ერთი მონაწილე თბილისელი ოლეგ კორნიენკო იყო (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. ამირაგოვი), მეორე კი კიეველი ვიქტორ ტკაჩენკო. ეს ჩემპიონატი საუწყებო იყო და მასში სპორტსაზოგადოებათა უძლიერესი ველოსიპედისტები მონაწილეობდნენ.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

აკრობატიკაში — თინათინ ვარდიძეს, თამარ ბეროზაშვილს, (ორივე—განათლების სამინისტრო, თბილისი), არტურ ბალადიანს („განთიადი“, სოხუმი).

სამბოში — ჯალალინ სალთანოვს, ოლეგ გოლუბოვს, ალი უმაროვს (სამივე—„დინამო“, თბილისი), ჯემალ მჭედლიშვილს (არმიის სპორტული კლუბი, თბილისი), ზაქარია ებალაშვილს („დინამო“, თბილისი).

თბილისელები მეორე ადგილზე

მინსკში გაიმართა საკავშირო ჭაბუკთა ტურნირი, რომელშიც 200-ზე მეტი ჩოგბურთელი მონაწილეობდა. გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისელები. უმცროსი ასაკის ჩოგბურთელთა პაექრობაში თავი ისახელა მიხეილ მღებროვმა (პროფკავშირები). იგი უძლიერესი იყო ერთეულთა შორის. საშუალო ასაკის სპორტსმენთა გამოსვლებში ორი პირველი ადგილი (ერთეულებში და წყვილებში) იური მარქაროვთან ერთად გივი გორდაძემ დაისაკუთრა (განათლების სამმართველო). ასევე ორივე თანრიგში მესამე ადგილზე გავიდა დინამოელი ლევან გიგინეიშვილი.

ჭაბუკთა II რესპუბლიკური...

24 ჭაბუკი და 20 გოგონა (თბილისიდან, ქუთაისიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, რუსთავიდან, ჭიათურიდან) გამოვიდა სოხუმში გამართულ ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების სტარტზე. გუნდურ ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს თბილისელებმა. ისინი უძლიერესნი იყვნენ ყველა თანრიგში. გოგონებში გაიმარჯვა თეა მუჩაიძემ (ოლიმპიური რეზერვის სკოლა), მეორე იყო დიანა შაფათავა, მესამე — ნინო წირღვავა (ორივე — „დინამო“). დინამოელთა ამ დუეტმა გაიმარჯვა წყვილთა შეჯიბრებაშიც. მომდევნო ადგილებზე არიან სოხუმელები იზაბელა პაპასკირი — ანა ფაჩალია და ქუთაისელები თამარ საკაშვილი — იამზე გუმბერიძე.

ჭაბუკებში ყველას თბილისელმა სპორტის ოსტატმა დიმიტრი ტერტერიანმა აჯობა (ოლიმპიური რეზერვის სკოლა). იგი უძლიერესი იყო სამივე თანრიგში (ერთეულებში, წყვილში გივი გორდაძესთან და და შერეულ წყვილთა თანრიგში თეა მუჩაიძესთან ერთად).

არტემ მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მხაჯი.



„ცურვა ყველამ უნდა იცოდეს“! ამ საერთო სათაურით ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ სპეციალურ გამოშვებას.

იხ. მე.2 გვ.

შენიშვნები საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატზე

კარგად ორგანიზებული შეჯიბრება, მონაწილეებმა რეკორდებიც რომ არ დაამყარონ, სპორტული ზეიმია. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ხობში გამართულმა საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატმა, რომელიც ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით ჩატარდა. შეჯიბრების ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს ხობელებმა.

დიახ, ამ ასპარეზობაზე რეკორდები არავის დაუმყარებია, მაგრამ შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ამ სახეობის განვითარების საქმეში დადებითი ძვრები იგრძნობა. გამოჩნდნენ „პირველი მერცხლები“, რომლებიც, მართალია, გაზაფხულს ჯერ მოიყვანენ, მაგრამ მის მოახლოებას კი გვაგრძნობინებენ.

შეჯიბრების მონაწილეებმა, თბილისელმა ქეთინო ზინდრიშვილმა და რუსთაველმა ვიქტორია უტიცკიხმა სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულეს. ქეთინომ 400 მეტრზე თავისუფალი



ტილით ცურვაში, ვიქტორიამ — ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში.

50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყურადღება მიიქცია რუსთაველმა ომარ მოისწრაფიშვილმა.

პროგრამის დანარჩენ სახეობებში გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა. ამ სახეობებში გამარჯვებულთა დასახელება წინასწარაც შეიძლებოდა.

საქართველოს რეკორდსმენმა, ჩვენი ქვეყნისა და გდრ-ის ახალგაზრდა მოცურავეთა სამატჩო შეჯიბრების მონაწილე თბილისელმა სპორტის ოსტატმა იგორ არტიომოვმა სპორტის ხუთ სახეობაში ისე გაიმარჯვა, კონკურენცია არ უგრძვნია.

ხუთი დღის შეჯიბრების შემდეგ გუნდურ ასპარეზობაში, საქართველოს ჩემპიონატის პროგრამით, ადგილები ასე განაწილდა: თბილისი (2731 ქულა), აფხაზეთი (715), ქუთაისი (618). ამ გუნდებმა ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გამართულ შეჯიბრებაშიც ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს ადგილები, ოღონდ აქ შესაბამისად 2120, 652 და 572 ქულა მოაგროვეს.

ასპარეზობას ახალი სახელები რომ არ დაუსახელებია, ეს ამ სახეობის განვითარებაში დაშვებული შეცდომებით აიხსნება. და მაინც, ჩემპიონატმა გაამართლა. ამას ხელი შეუწყო შეჯიბრების დღეებში ხობში გამართულმა რესპუბლიკურმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც ცურვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების მუშაობის საკითხს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ, მათ შორის ისეთი აღიარებული სპეციალისტები, როგორებიც არიან საკავშირო სპორტსახკომის მწვრთნელები ცურვაში ვილი ტოლსტიკოვი, ვიტალი მედიანიკოვი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი ფესენკო და სამეცნიერო. ჯგუფის ხელმძღვანელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იური პეტრენკო.

ჩემპიონატის მონაწილეებისთვის სასარგებლო და საინტერესო იყო შეხვედრა ფესენკოსთან. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მათ მრავალ კითხვაზე გასცა პასუხი.

ვალერი ხაი,
საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ცურვაში.





ლისის ტბის მიდამოებში ჩატარდა ნორჩ გემმოდელისტთა 22-ე რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც 10 გუნდის 56 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

მოდელების ცალკეული კლასების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. გოგიავა, ტ. სებუა (ორივე წულუკიძე), რ. ფომენკო (ბათუმი), ლ. მამაცაშვილი (რუსთავი), ზ. წიწუაშვილი, ს. ასატუროვი (ორივე თბილისის პიონერთა სასახლე), დ. არუთინოვი (თბილისი).

გუნდურ პირველობაში უძლიერესი იყო რუსთავის გუნდი — 1188 ქულა, მეორე ადგილზე არიან თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის აღსაზრდელები (1004,9), მესამე ადგილი წილად ხვდათ წულუკიძელ მოდელისტებს (804,6).

ს. ვართანესოვის ფოტოები.

ერთმანეთს ეზიარებიან

მოკლედ

ნალენჯიხა

რაიონში ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება სპორტული ბაზების მოსაწყობად და შეჯიბრებათა გასამართავად. პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში, მაიაკოვსკის ქუჩაზე მოეწყო მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსები, მთავარ სტადიონზე შენდება საცურაო აუზი.

ენგურჰესის მშენებლობის სპორტკლუბ „ენგურის“ ხელმძღვანელობამ გამართა თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჰიდროსპეცმშენისა და კაშხალმშენის გუნდები. გაიმარჯვეს კაშხალმშენებლებმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია დათო და ვახტანგ კვარაცხელიების ხსოვნისადმი მიძღვნილმა საფეხბურთო შეჯიბრებამ ნორჩთა შორის. წარმატება წილად ხვდათ სოფ. ნინჯარუს საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

ოლეგ სალია.

ლანჩხუთი

უკვე მეორე წელია საინტერესოდ ტარდება საბავშვო ბაღების პირველობა მინიფეხბურთში. წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის 12-მა საბავშვო ბაღის გუნდმა.

პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ შუხუთისა და ლესის ნორჩები. გაიმარჯვეს შუხუთელმა. ბავშვებმა. საპრიზო ადგილზე გავიდნენ ეწერელები.

ვ. ცინცაძე,
ლანჩხუთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.



ბანა ვინმეს აეჭვებს, რომ ყველაზე კარგ პროპაგანდას ამა თუ იმ სახეობას სპორტსმენის მაღალი მიღწევები უწევს? ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, თუ სულ მალე ჩვენი ტერები სროლის შესწავლა-დაუფლების ყველა მსურველს ვერ დაიტევენ. დიახ, ნინო სალუქვაძის ამ დღეების ტრიუმფულ წარმატებას შეიძლება ნამდვილი ბუმი მოჰყვეს და ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, არსებული მატერიალური ბაზა რამდენად დააკმაყოფილებს მსროლელის სახელზე მეოცნებე გოგო-ბიჭებს.

საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე თანამემამულეთა გამარჯვებას მოზარდებს შორის სხვა დროსაც გამოუწვევია დიდი დაინტერესება, მაგრამ მოუმზადებელ დარბაზს, უგულისყურო მწვრთნელს, ყვავგასულ აღჭურვილობას ცუდი სამსახური გაუწევია ნორჩებისათვის და ისინიც მალე განთესილან სპორტიდან.

ალბათ, იგივე ბედი ეწეოდა ჩვენს მოზარდთა კრივს, რომელიც დღეს რესპუბლიკაში აღმავლობის გზას ადგას, რომ დავით კვაჭაძეს ნამდვილი აღმზრდელის და პროფესიონალის ალღო არ გამოეჩინა. ყველას კარგად გვახსოვს ჩვენს კრივში გამეფებული მწვრთნელთა სრული ინერტულობა. მართალია, თავის დროზე ამ სახეობაში მდიდარი ტრადიციები გვქონდა, რასაც არაერთი სახელოვანი გამარჯვება მოუტანია რესპუბლიკის სპორტისათვის, მაგრამ ორმოცდაათიანი, სამოციანი და სამოცდაათიანი წლები გამორჩეული და თავმოსაწონი არაფრით ყოფილა. მხოლოდ დავით კვაჭაძის წარმატებებმა საკავშირო და ევროპულ რინგზე გამოაცოცხლა ჩვენში სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა. დავითმა აღმზრდელობითი მუშაობა თავის მშობლიურ კლუბში — „ბურევესტნიკში“ დაიწყო. იქ გახსნა კრივის სპეციალიზებული დარბაზი, რომელსაც ახლა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლა ჰქვია. ამ სკოლას საამაყო ბევრი აქვს — მისი აღზრდილები და აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, სკოლამ ფილიალები გახსნა ქუთაისში, სოხუმში, ტყიბულში, თერჯოლაში, სადაც სხვადასხვა ასაკის 450 მოზარდი მეცადინეობს. იქ ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან გამოცდილი აღმზრდელები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვ. ბურჯანაძე, გ. ჯუხაინიძე (ქუთაისი), თ. ქართველიშვილი, გ. შახსუვარიანი, ს. წინამძღვრიშვილი, ნ. ქიქავა და სხვები.

მაგრამ დავით კვაჭაძე ამით არ დაკმაყოფილებულა. მისი უშუალო თაოსნობით დიღომში გაიხსნა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლა, რომელსაც ასევე მთელს რესპუბლიკაში აქვს ფილიალები. ნაყოფიერად მუშაობენ სკოლის მწვრთნელები გურჯაანში, მესტიაში, საჩხერეში, სიღნაღში, თეთრ წყაროში, ფოთში, რუსთავში. სამინისტროს სისტემის სპორტსკოლის მოკრივეებს კონკურენციას უწევს „შრომითი რეზერვების“ სკოლა, სადაც ნორჩ მოკრივეთა მზადებას სათავეში უდგას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ხაჩატუროვი. ამ სკოლებმა უკვე მოგვცეს მაღალი კლასის სპორტსმენები, რომლებმაც საერთაშორისო სარბიელზეც ისახელეს თავი. მათ შორის არიან: ნიკა სეთური, ჯამბულ ყუფარაძე, დავით შერვაშიძე, გოჩა სამხარაძე, ძმები კაზანჯიანები, ხვიჩა ხდრიანი, სპარტაკ ასანიძე...

ახლა რესპუბლიკის ჭაბუკ მოკრივეებს სეროიზული გამოცდა ელით. ივლისის ბოლოს ისინი ქუთაისში სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო თამაშებში ჩაებმებიან. ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის მზადება შარშან დაიწყო. გორში გამართული რესპუბლიკური პირველობის შედეგების მიხედვით შეიქმნა სპორტსმენთა ბირთვი, რომელსაც საკავშირო თამაშებში მოუხდება გამოსვლა. ამ 45-კაციან ჯგუფში შევიდნენ პირველი, მეორე და მესამე ნომერი სპორტსმენები. მათი მზადება საკავშირო შეჯიბრებისათვის წულუკიძის რაიონის დაბა გორდში 18-დღიანი შეკრებით დაიწყო.

— მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 25 თებერვლიდან 1 მარტამდე ქუთაისში ჩატარებული წლევანდელი რესპუბლიკური პირველობა. ამ შეჯიბრებამ გუნდის შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა, — თქვა ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორმა რევაზ მეგრელიშვილმა. — ამ გუნდით გავემგზავრეთ მოსკოვში „სიჭაბუკის“ ტრადიციულ ტურნირზე. სარბიელზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოსწავლე-მოკრივეები გამოდიოდნენ. ამდენად, თავდანვე ვიცოდით, რომ საქმე გვექნებოდა მომავალ მეტოქეებთან — სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშების მონაწილეებთან და შეჯიბრებას დაზვერვის ხასიათიც ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოკრივეებს თავი არ შეურცხვენიათ მოსკოვის რინგზე. მათ ბრწყინვალედ ჩაატარეს ორთაბრძოლები და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს, ხუთმა კი გამარჯვებულის სახელიც დაისაკუთრა.

გუნდის ამავე შემადგენლობამ თავისი ძალა გამოსცადა რესპუბლიკის მეორე ახალგაზრდულ თამაშებსა და ამ „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ასპარეზობაში. ამ უკანასკნელ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. ამას მოჰყვა ოცდღიანი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ტყიბულსა და სოხუმში. ამ დღეებში ქუთაისში გავემგზავრებით და მოკლევადიანი შეკრების შემდეგ, რაც აკლიმატიზაციას ისახავს მიზნად, იქვე ჩავებმებით სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო თამაშებში.

— რა მიზანს ისახავს გუნდი? — რაც შეიძლება მაღალ დონეზე წარვმართოთ შეხვედრები და მაღალი ადგილებიც მოვიპოვოთ გუნდურ და პირად შეჯიბრებებში. ჩვენ ეს შეგვიძლია. ნაკრების თითოეული წევრი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მომავალ შეხვედრებს. იმედია, რინგზეც თავდაუზოგავად იბრძოლებენ. ის, რომ სადღეისოდ საქართველოს მოსწავლე-მოკრივეებს რაიმე არსებითი პრობლემა არა აქვთ გადასაჭრელი, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სპორტსახკომისა და თბილისის განათლების სამმართველოს დიდი დახმარების შედეგია. არც ერთი საკითხი, მზადების ხელშემშლელი არც ერთი მიზეზი მათ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ და დროულად იღებდნენ ქმედით ზომებს, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

როგორც ითქვა, ჯერჯერობით კმაყოფილი ვართ გუნდის მომზადებით, რომელსაც ხელმძღვანელობენ უფროსი მწვრთნელი დავით შიუკაშვილი, გუნდის უფროსი ალბერტ ელისონიანი, მწვრთნელები თეიმურაზ ლორთქიფანიძე (ჭიათურა), როლანდ კვაჭაძე, ვალერი ბორტნიკოვი (თბილისი), ტარიელ ვერულაშვილი, ცეზარ გულუა (ფოთი), გიორგი კუხიანიძე (ქუთაისი) და თეიმურაზ სამუშია (სოხუმი). ნაკრების იმ თხუთმეტ წევრსაც, შეჯიბრებაში რომ გამოვლენ, მათი შეხედულებით დავადგენთ.

ისე ნურავინ გაგვიგებს, თითქოს ჩვენს მოზარდთა კრივში სადღეისოდ მოსაგვარებელი არაფერი იყოს. არა, მას სატკივარიც ბევრი აქვს.

თუ შორს გავიხედავთ, საჭიროა, რომ რესპუბლიკის რაიონებში „გაბნეულ“ ნიჭიერ და საიმედო ახალგაზრდობას თავი მოვუყაროთ თბილისის სპორტული პროფილის ინტერნატში, სადაც კრივის სპეციალური სექცია გაიხსნება. იქ მოზარდ სპორტსმენებს დაოსტატების საშუალება ექნებათ, ისევე როგორც, ვთქვათ, მოჭიდავეებს, მძლეოსნებს, ფეხბურთელებსა და სხვა სახეობების წარმომადგენლებს.

გადასაჭრელია ერთი პრობლემა: თბილისის განათლების სამმართველოს კრივის სპეციალიზებული დარბაზის მშენებლობა. ადგილი უკვე გამოყოფილია დიღომში... დროა მოსწავლე-მოკრივეებს ჰქონდეთ თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი საწვრთნელი ბაზა, თავისი საშხაპით, საექიმო კაბინეტით, სარეაბილიტაციო ცენტრით, კვების ბლოკითა და სასტუმროთი.

ვფიქრობ, ამ საკითხის მოგვარება ბევრად გხაუმჯობესებს წვრთნის პირობებს და შედეგიც არ დააყოვნებს — ჩვენს ტყავის ხელთათმანის ახალგაზრდა ოსტატებს ხდრიანს, კაზანჯიანს, ყუფარაძეს, სეთურს, ასანიძესა და სხვებს ღირსეული ცვლა ეყოლებათ.

უშანგ ჭიჭინაძე.

სსრ კავშირის თასზე

6 ივლისს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის 1987-88 წლების გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩების პირველი შეხვედრები. შეჯიბრებაში ჩაებნენ უმაღლესი ლიგის კოლექტივებიც.

საქართველოს გუნდებიდან თასის ამ ეტაპზე იბრძვიან თბილისის „დინამო“, ლანჩხუთის „გურია“ და სოხუმის „დინამო“. განცალკევებულ ტურში უმაღლესი ლიგის ყველა გუნდმა შინ მიიღო მეტოქეები.

თბილისის „დინამოს“ არ გასჭირვებია თავისი მეტოქის — იაროსლავლის „შინიკის“ დამარცხება. უკვე მატჩის დასაწყისშივე, მე-3 წუთზე, „შინიკის“ მცველებმა უყურადღებოდ ითამაშეს თავიანთი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, ამით კარგად ისარგებლა კაკილაშვილმა, იოლად გავიდა წინ და ზუსტადაც დაარტყა კარში — 1:0. გავიდა ხუთიოდე წუთი და სტუმრებს კვლავ ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება: კორდალიძე-კაკილაშვილის სწრაფი კომბინაციის შემდეგ ბურთი მიიღო შენგელიამ, შორიდან დაარტყა კარში, ვოლუხინი მზად არ აღმოჩნდა და მეორე ბურთი გაუშვა.

კიდევ რამდენიმე წუთიც და ანგარიში გახდა 1:2. ამჯერად კოლეს ნიკოვმა გამოიყენა თავისი შანსი, მან საკმაოდ შორი მანძილიდან გაქვითა ერთი გოლი.

შესვენების შემდეგ თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა, დინამოელებმა მკვეთრად მოუმატეს ტემპს და მთელი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ წარმართეს. ჯერ კორღალიძემ თავით გაიტანა მესამე ბურთი, შემდეგ კი მანვე მე-60 წუთზე საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს — 4:1. თბილისის „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა (ჭეცბაია), ჭედია, ფირცხალავა, კორღალიძე (ფანცულაია), სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი (გოგრიჭიანი), გურული, შენგელია.**

თბილისის „დინამოსა“ და იაროსლავლის „შინიკის“ გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გააფრთხილეს „შინიკის“ ფეხბურთელი მარტიანოვი, აგრეთვე, თბილისელი კეტაშვილი.

ასეთივე იოლ გამარჯვებას მიაღწია თავის მინდორზე ლანჩხუთის „გურიამ“, რომლის მეტოქე ვოლგოგრადის „როტორი“ იყო. მარშან, როცა „გურია“ I ლიგაში გამოდიოდა, ამ ორი გუნდის შეხვედრები თანაბარი უპირატესობით წარიმართა, ერთი მატჩი „გურიამ“ მოიგო — 1:0, ერთიც „როტორმა“ — 4:2. ამჯერად, ლანჩხუთელებმა საგრძნობი უპირატესობით ითამაშეს ძველ მეტოქესთან და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 4:2. ორი ბურთი გაიტანა კოპალეიშვილმა, თითო — ფრიდონაშვილმა (11-მეტრიანი) და ხლუსმა.

მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩში სოხუმის „დინამომ“, რომელიც მინსკში შეხვდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ადგილობრივ „დინამოს“. თვით ანგარიშიც 2:1 მინსკელთა სასარგებლოდ, ნათლად მეტყველებს ბრძოლის დაძაბულობაზე, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტი ბურთი მასპინძლებმა მხოლოდ მაშინ გაიტანეს, როცა მატჩის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა.

მოგვყავს თასის ამ ეტაპის სხვა შეხვედრათა ანგარიშები:

„შახტიორი“ (დონეცკი) — „ნივა“ (ტერნოპოლი) 2:0.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 1:1.

„ზენიტი“ (ლენინგრადი)—„დრუჟბა“ (მაიკოპი) 3:1.

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)— „ურალანი“ (ელისტა) 10:0.

„ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:0.

„არარატი“ (ერევანი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 6:2.

„დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:1.

„მეტალისტი“ (ხარკოვი) — „კრასნაია პრესნია“ (მოსკოვი) 3:1.

„დინამო“ (მოსკოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0.

„ნეფტჩი“ (ბაქო) — „ფახთაქორი“ (ანდიჟანი) 4:0.

მეთექვსმეტედფინალის სპასუხო შეხვედრები 18 ივლისს შედგება.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში
საკლუბო ტურნირები

9 ივლისს გაიმართება ევროპის საკლუბო ტურნირების (ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, უეფა-ს თასი) 1987-88 წლების გათამაშებათა წილისყრა. თბილისის „დინამო“ ხუთწლიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ ჩაებმება ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში. ეს, ბუნებრივია, დიდად ზრდის საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესს ამ ტურნირებისადმი და, რა თქმა უნდა, თვით დინამოელთა პასუხისმგებლობას მიმდინარე სეზონში.

ეს ორი ცხრილი, რომლებსაც დღეს ვბეჭდავთ, თბილისელმა გულშემატკივარმა **ალეკო ჯიბლაძემ** შემოგვთავაზა. პირველ ცხრილში ნაჩვენებია რომელი ქვეყნის წარმომადგენლები რამდენჯერ ფლობდნენ ამა თუ იმ თასს.

სულ, სამივე თასს, სხვადასხვა დროს 15 ქვეყნის 46 გუნდი დაეპატრონა. მეორე ცხრილში გაგაცნობთ იმ 10 კლუბს, რომლებმაც სამჯერ ან მეტჯერ გაიმარჯვეს ევროპის თასებისთვის ბრძოლაში.

ცხრილი № 1

	ჩ.	ნ.	უეფა	სულ
1. ინგლისი	8	5	9	22
2. ესპანეთი	6	4	8	18
3. იტალია	5	4	2	11
4. გფრ	4	3	3	10
5. ჰოლანდია	4	1	2	7
6. პორტუგალია	3	1	—	4
7. შოტლანდია	1	2	—	3
8. სსრკ	—	3	—	3
9. ბელგია	—	2	1	3
10. შვეიცარია	—	—	2	2
11. რუმინეთი	1	—	—	1
12. ჩეხოსლოვაკია	—	1	—	1
13. გფრ	—	1	2	1
14. უნგრეთი	—	—	1	1
15. იუგოსლავია	—	—	1	1

ცხრილი № 2

	ჩ.	ნ.	უეფა	სულ
1. „რეალი“ (მად.)	6	—	2	8
2. „ლივერპული“	4	—	2	6
3. „ბარსელონა“	3	1	—	4
4. „ბაიერნი“ (მიუნ.)	3	1	—	4
5. „აიაქსი“ (ამსტ.)	3	1	—	4
6. „მილანი“	2	2	—	4
7. „იუვენტუსი“ (ტურინი)	1	1	1	3
8. „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი)	—	2	1	3
9. „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი)	—	1	2	3
10. „ვალენსია“	—	1	2	3

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე განიხილეს უმაღლესი ლიგის გუნდებში მომხდარ დარღვევათა საკითხები, შესაბამისი სასჯელები გამოიტანეს დამნაშავე ფეხბურთელთა მიმართ.

ფეხბურთის მოყვარულებმა, ალბათ, ნახეს თუ როგორ უხეშად დაარღვია თამაშის წესი ბაჭოს „ნეფთჩის“ მეკარემ ა. ყიდაკოვმა, რომელმაც ძალზე სახიფათო ილეთი იხმარა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ თავდამსხმელ ო. პროტასოვის მიმართ. ა. ყიდაკოვი 2 მატჩითაა დისკვალიფიცირებული, გარდა ამისა, იგი მკაცრად გააფრთხილეს. სპორტტექნიკურმა კომისიამ ბაქოს „ნეფთჩის“ ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ გუნდში ძალზე დაბალ დონეზე დგას დისციპლინა, კერძოდ, „ნეფთჩის“ ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა მოთამაშეებმა უკვე 18-ჯერ დაიმსახურეს ყვითელი ბარათი.

ასევე ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელი ა. აფანასიევი, რომელმაც უხეშად ითამაშა ტორპედოელი ი. სავიჩევის წინააღმდეგ. სპორტტექნიკურმა კომისიამ ლენინგრადის „ზენიტის“ ხელმძღვანელობას რეკომენდაცია მისცა გაათავისუფლოს ა. აფანასიევი გუნდის კაპიტნობიდან.

მეორე ტური

შემდინარეობს II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება პროფკავშირების თასზე. გთავაზობთ მეორე ტურის შედეგებს: „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 8:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:3, „ქიაფაზი“ (ქიროვაბადი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 0:0, „დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:2.

„მესამე ტაიმი“

ეს ფრაზა იმ საღამოს პირველს მგონი ჩვენს სასიქადულო ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბორის პაიჭაძეს წამოსცდა. ტყავის ბურთის ლეგენდარული დიდოსტატი „დინამოს“ სტადიონის პრესის ლოჟის ხშირი სტუმარია და ახლაც დიდი მღელვარებით ელოდა გულშემატკივართა და ჟურნალისტთა შეხვედრას თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან.

ქართული ფეხბურთი, კერძოდ მისი დიდი ხნის ლიდერი — თბილისის „დინამო“ დღეს ძნელ კრიზისს განიცდის, ეს ყველასთვის ნათელია. ნათელია, მაგრამ აუხსნელი, გაუგებარი და მიუღებელი!

აკი ამიტომაც დაკარგა ქართველმა გულშემატკივარმა მოსვენება, ზოგიერთს „გახედვაც“ არ უნდა სტადიონისაკენ, თუმცა ერთგული ქომაგები იმედს მაინც არ ჰკარგავენ და ცდილობენ სტადიონის საქმაოდ „შეთხელებული“ ტრიბუნებიდან გაამხნევონ ფეხბურთელები.

დიახ, გულშემატკივრები შეშფოთებას ვეღარ მალავენ და გულისწყრომით სავსე წერილებს გვიგზავნიან. მარტო ბოლო ორი კვირის მანძილზე „ლელოში“ 600-ზე მეტი წერილი მივიღეთ. რა წინადადებას აღარ გვთავაზობენ მათი ავტორები, რა აზრს არ გამოთქვამენ, ხშირად ერთმანეთთან საწინააღმდეგოს, მაგრამ ფაქტია, ისინი მთელი არსებით განიცდიან „დინამოს“ გასაჭირს. მათ სურთ რაც შეიძლება მალე იხილონ საყვარელი გუნდი კრიზისს თავდაღწეული.

— ვერ წარმოიდგენთ რა დიდი ადგილი უჭირავს ფეხბურთს ჩვენს სინამდვილეში, როგორ გვიყვარს იგი, რარიგ განვიცდით საქართველოს გუნდების ყოველ გამარჯვებას და მარცხს. ერთი მათგანი ასეთ, თითქოს დაუჯერებელ ამბავსაც გვიამბობს:—„ჩემს ნაცნობ ცოლ-ქმარს ერთ დღეს ერთმანეთთან სერიოზული კონფლიქტი მოუხდათ, საქმე გაყრამდე მივიდა, მაგრამ... იმ საღამოს ჩვენმა დინამოელებმა „ქაირათი“ დაამარცხეს და გახარებულმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გაუღიმეს. ასე გადაურჩა ერთი ოჯახი დანგრევას“.

დიახ, დიდია ფეხბურთის სასწაულმოქმედი ძალა.

გვწერენ გალიდან და ბათუმიდან, ქუთაისიდან და ზუგდიდიდან, სოხუმიდან, ჭიათურიდან, ხაშურიდან. რუსთავიდან...:

და აი, რას გვწერენ ისინი:

„ასეთი ჩავარდნა თბილისის „დინამოს“ ჯერ არ ჰქონია. საქართველოში ათი ათასი კაცი თამაშობს ფეხბურთს, ნუთუ ძნელია მათგან საუკეთესოთა შერჩევა?“.

„გუნდში არ იგრძნობა არავითარი სათამაშო ორგანიზაცია, ტაქტიკური აზროვნება, სუსტია კარში დარტყმები, კომბინაციები უფერული“.

„რას აკეთებენ ამდენი სპორტსკოლები, ინტერნატები, რა პროდუქციას იძლევიან?“

„ყველა ფეხბურთელმა თავისი საქმე უნდა აკეთოს პირნათლად, შავ სამუშაოს არ უნდა ერიდებოდეს, სხვის იმედზე არ უნდა იყოს. აი, მაშინ იქმნება კოლექტივი, აი, მაშინ გაიმარჯვებს გუნდი“.

„საჭიროა გულახდილი დიალოგი გულშემატკივრებსა და გუნდის ხელმძღვანელობას შორის“.

„როდემდე შეიძლება პერსპექტიულად ჩაითვალონ 23-27 წლის ფეხბურთელები, რომლებმაც დღემდე ვერ ისწავლეს თამაში?“

„ჩვენი გუნდის გამოსვლა უეფა-ს თასზე ასეთი თამაშით ყოვლად გაუმართლებელია“.

„თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ცაავაზე, ფანცულაიაზე, მიქაშავიძეზე, რევიშვილზე“...

„რატომ არ ათამაშებთ შენგელიას ორივე ტაიმში“?

„ძალზე დაბალია რესპუბლიკის მწვრთნელთა კვალიფიკაცია, ეგებ კონსულტანტად მოგვეწვია თბილისის „დინამოში“ ცნობილი სპეციალისტი მიხეილ იაკუშინი, რომელსაც ადრეც უმუშავია ჩვენს გუნდთან და ბევრი სასიკეთო საქმეც გაუკეთებია“.



„წინათ რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩზე დასასწრებად თბილისიდან რეგულარულად ჩამოდიოდნენ სპეციალისტები, რომლებიც ადგილზე არჩევდნენ ნიჭიერ ფეხბურთელებს. დღეს მათ რატომღაც ვეღარ ვხედავთ“...



მსგავსი შეკითხვები დაედო საფუძვლად გუშინწინდელ „მესამე ტაიმს“, რომლის ორგანიზატორი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციასთან ერთად საქართველოს ტელევიზია და „დინამოს“ სტადიონი იყო.

დინამოელთა უფროსი მწვრთნელი კახა ასათიანი ამომწურავად პასუხობდა მათ. ბოლოს მწვრთნელმა ისინი მიიპატიჟა დაესწრონ გუნდის ვარჯიშს, უფრო ახლო გაეცნონ საქმის ვითარებას. გულშემატკივრების წინაშე გულახდილად ილაპარაკეს ფეხბურთელებმაც — შენგელიამ, სულაქველიძემ, ჩივაძემ, ჭედიამ, ცაავამ, გაბელიამ, კეტაშვილმა... ისინი შეპირდნენ ფეხბურთის მოყვარულებს, რომ დაუღალავად ივარჯიშებენ და ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ქართულ ფეხბურთს კვლავ დაუბრუნდეს შელახული სახელი და ძველი დიდება.

„მესამე ტაიმი“. საჭიროა ასეთი შეხვედრები რეგულარულად იმართებოდეს, საჯაროობა ხომ დღეს პირველ ყოვლისა ჩვენს ფეხბურთს სჭირდება.

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი

მკითხველმა უკვე იცის, რომ სამხრეთ ამერიკის წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი ახლებური სისტემით მიმდინარეობს, კერძოდ, თამაშები ტარდება ერთ ქვეყანაში — არგენტინაში. ამ შეჯიბრებას ექსცესები და მოულოდნელობანი არასოდეს აკლდა, გამონაკლისი არც წლევანდელი შეჯიბრებაა.

მარცხი განიცადა ბრაზილიის ნაკრებმა, რომელიც ტრადიციისამებრ ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა. ბრაზილიელებმა დიდი ანგარიშით წააგეს ჩილის ნაკრებთან — 0:4. ამ ამბავმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ბსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა ქვეყანაში, ბრაზილიელი გულშემატკივრები მოითხოვენ დაუყოვნებლივ განდევნონ ნაკრებიდან უფროსი მწვრთნელი კარლოს ალბერტო სილვა, მან კი სულ ახლახან ჩაიბარა ეს სახელგანთქმული გუნდი.

„ა“ ჯგუფში პერუსა და ეკვადორის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, „ბ“ ჯგუფში კოლუმბიელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს პარაგვაის ნაკრები.

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი: არგენტინა-ურუგვაი, ჩილი-კოლუმბია.

ერთბაშად სამი

იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცის ვაჟთა საზონათშორისო ტურნირში 12 ტურის შემდეგ ერთბაშად სამი მოჭადრაკე დაწინაურდა — ინგლისელები ჯონათან სპილმენი, ნაიჯელ შორტი და უნგრელი ზოლტან რიბლი. მათ 8-8 ქულა აქვთ. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება მიხეილ ტალი.

გაგაცნობთ XI და XII ტურების რამდენიმე პარტიის შედეგებსაც: პრასადი-ჰამედი — 0,5:0,5, მარიანოვიჩი-როდრიგესი — 0,5:0,5, პოპოვიჩი-ალბურტი — 0:1, რიბლი-ჩერნინი — 1:0, ზაპატა-პრასადი — 0,5:0,5, სპილმენი-საქსი — 0,5:0,5, როდრიგესი-პოპოვიჩი — 0,5:0,5, ჰამედი-მარიანოვიჩი —0:1. სმისლოვი ამ ტურში ისვენებდა. გადაღებულ პარტიებში (ოთხი) სმა დაამარცხა პრასადი, მარიანოვიჩი-ქსუ და ალბურტი-შორტი კი დაზავდნენ.

გაუმჯობესდა 30 წლის რეკორდი

ახალგაზრდობის II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ველოსიპედისტთა (ტრეკი) შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, თერჯოლისა და ლაგოდეხის გუნდები. აქ კონკურსს გარეშე დაუშვეს უზბეკეთისა და თურქმენეთის ველოსიპედისტები, რამაც შეჯიბრება უფრო საინტერესო გახადა.

სამართლიანი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ თბილისში საასპარეზოდ არ ჩამოვდა რუსთავის გუნდი. რუსთაველებმა მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენი გამოიყვანეს და თანაც განმარტეს, რომ გუნდი „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობისთვის ემზადებაო. მისაღები განმარტებაა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ „შრომითი რეზერვების“ პირველობა საგზატკეცილო ველოსპორტში ტარდება, თბილისში კი ტრეკზე უნდა ეასპარეზათ.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ომარ ფხაკაძემ მონაწილეთაგან განსაკუთრებით ქუთაისელი ველოსიპედისტი ელისო დოხნაძე გამოჰყო. საქმე ისაა, რომ ელისომ გაუმჯობესა 30 წლის წინანდელი რესპუბლიკური რეკორდი 200 მეტრზე გიტში სვლით. ეს რეკორდი 1957 წელს სპორტის ოსტატმა მზია დიასამიძემ დაამყარა — 13,4. ელისო დოხნაძემ კი 13,25 აჩვენა.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ორი ველოსიპედისტი, თბილისელი ილია კოკაშვილი და თერჯოლელი დავით არაბიძე, რომლებმაც 200 მეტრზე გიტში (სვლით) პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი. დავით არაბიძე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში ჩარიცხეს.

შეჯიბრებაში გუნდური გამარჯვება თბილისელმა ველოსიპედისტებმა მოიპოვეს — 625 ქულა. მომდევნო ადგილებზე ქუთაისის (500 ქულა) და აჭარის (381 ქულა) სპორტსმენები გავიდნენ.

ცალკეულ სახეობებში პირველი ადგილები მოიპოვეს: გოგონები 3 კმ გამოდევნებით რბოლაში, სპრინტსა და ჯგუფურ რბოლაში — ელენე ალეევამ (აფხაზეთი), გუნდურ რბოლაში 3 კმ — ქუთაისმა 4.16,28. ჭაბუკები: გიტში 200 მეტრზე სვლით — ედუარდ კარაპეტიანმა (თბილისი) — 11,65, გიტში 500 მ. ადგილიდან — მანვე 35,90, სპრინტში — ზაზა ავაქოვმა (თბილისი); იუნიორები: გიტში 200 მ სვლით — ილია კოკაშვილმა — 11,16, თბილისელმა ვასილ დავიდენკომ სამი დისტანცია მოიგო: გიტი 1000 მ. (ადგილიდან) — 1.10,83, 3 კმ გამოდევნებით რბოლა — 3,39,55 და გუნდური რბოლა 4 კმ-ზე ნორმან მჭედლიშვილთან, ნიკოლოზ ბიკოვთან და



ვიქტორ ოვანესიანთან ერთად (თბილისის გუნდის შემადგენლობაში) — 4.41,58. ჯგუფურ რბოლაში 75 წრეზე (15 საშუალედო ფინიში) უძლიერესი ვიქტორ ოვანესიანი იყო — 38 ქულა, სპრინტერთა ტურნირი კი მამუკა ყურაშვილმა (თბილისი) მოიგო.

ანზორ ჭიჭინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

კალეიდოსკოპი

სასარგებლო კონტაქტები

საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელთა მტკიცე მეგობრობას საფუძველი 1960 წელს ჩაეყარა. ამ ურთიერთობის ინიციატორები ამომავალი მზის ქვეყნის ფრენბურთის ასოციაცია და საკავშირო ფედერაცია იყვნენ. აქ მეგობრობის სკოლა გაიარეს ჩვენი ფრენბურთის ვარსკვლავებმა დმიტრი პოპარკოვმა, ვლადიმერ კონდრამ, ალექსანდრე ზაიცევმა, ალექსანდრე სოროკოლეტმა, სხვებმა და სხვებმა.

ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები ყოველ წელს მიემგზავრებიან იაპონიაში და იქ ამხანაგური მატჩების სერიებს ატარებენ. რა სარგებლობა მოაქვს ამ შეხვედრებს? ერთი შეხედვით თითქოს გასაკვირიც უნდა იყოს, რომ იმ გუნდთან თამაშმა, რომელსაც მსოფლიოს რანგთა ტაბელში მხოლოდ შვათე ადგილი უკავია, სარგებლობა მოუტანოს უმაღლესი მწვრვალების დაპყრობისთვის მებრძოლ კოლექტივს. მაგრამ საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ იაპონელი სპეციალისტები საუკეთესო თეორეტიკოსებად და პრაქტიკოსებად ითვლებიან, რომ ბევრი სიახლე ტაქტიკის სფეროში სწორედ მათგან მოდის. ეს კი არა, ამერიკის ფრენბურთი, რომელიც ბოლო დროს მოწინავე პოზიციებზე გავიდა, თავის თვისობრივ გარდაქმნას იაპონელთა გავლენით ხსნის.

დიახ, არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ დღესდღეობით ქალთა და ვაჟთა ფრენბურთი ამომავალი მზის ქვეყანაში ერთ ადგილს ტკეპნის. იაპონელ სპეციალისტთა ერუდიცია საქვეყნოდ ცნობილია და მათთან მჭიდრო კონტაქტს მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია.

პრობლემები, განვითარების გზები და ამოცანები

სოფიაში ჩატარდა საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფილ) 36-ე კონგრესი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 30 ქვეყნის წარმომადგენლებმა. კონგრესის მონაწილეებს მიესალმა ფედერაციის პრეზიდენტი კონსტანტინ ბოიაჯიევი. მან ილაპარაკა საციგაო სპორტის პრობლემებზე, მის განვითარების გზებსა და ამოცანებზე, აღნიშნა, რომ ბუნებრივ საფარიან ტრასებზე შეჯიბრების მოწყობის შესაძლებლობას ფედერაციის კომისია სპეციალურად შეისწავლის და 1992 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (ალბერვილი, საფრანგეთი) ექსპერიმენტის სახით წარმოადგენს.

კონგრესზე საპატიო სტუმრად მოწვეულნი იყვნენ 1988 წლის კალგარის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები, ანკორიჯის (აშშ) და სოფიის (ბულგარეთი) სპორტული დელეგაციები.

ჩეხოსლოვაკია ემზადება

ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის აქტიურად ემზადებიან. ამის შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია გააკეთა ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურის კავშირის თავმჯდომარემ ანტონინ გიმლმა პრაღაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ოლიმპიური ციკლის გეგმით დღესდღეობით ქვეყანაში 192 სპორტსმენი ვარჯიშობს. მათგან 146 ზაფხულის სპორტის 15 სახეობის წარმომადგენელია და 46 — ზამთრის სპორტის ოთხი სახეობისა. კონტროლზეა აყვანილი კიდევ 103 სპორტსმენი — ძირითადი გუნდების უახლოესი რეზერვი. დღეისთვის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოპოვებული აქვთ მხოლოდ ხელბურთელ ვაჟებსა და ქალებს. სხვა სახეობების წარმომადგენლებს კი წინა აქვთ საკვალიფიკაციო შეჯიბრებათა სერიები.

როგორც ირკვევა, ზამთრის ოლიმპიური თამაშების სახეობებიდან ჩეხოსლოვაკიელები მხოლოდ ფიგურისტთა, მოთხილამურეთა, ბიატლონისტთა და ჰოკეისტთა ტურნირებში იასპარეზებენ.

კალეიდოსკოპი



„ლეიკერსი“ უძლიერესია

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან აშშ-ის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონობა, ანუ როგორც მას უწოდებენ, სათასო ტურნირი მოიგო „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ რომელმაც სძლია „ბოსტონ სელტიქსს“ — 4:2.

ფინალამდე გუნდებმა სხვადასხვაგვარი გზა განვლეს. „ლეიკერსი“ სათასო ტურნირში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა „ვაშინგტონ ბულიტსთან“ (114:99). მისი მთავარი მეტოჩე დასავლეთის ზონაში „ჰიუსტონ როკეთსი“ იყო. მას დღესდღეობით არასახარბიელო მდგომარეობა აქვს. ჯერ ერთი, კარგად ვერ თამაშობს 224 სმ სიმაღლის რალფ სემპსონი. ამას ისიც დაემატა, რომ პოლიციამ ნარკომანობისათვის დაიკავა გუნდის ორი წევრი. ასე რომ, „ლეიკერსს“ ნბა-ს ფინალში გასვლა არ გასჭირვებია. „ბოსტონ სელტიქსს“ კი მძიმე ბრძოლები გადახდა. აღმოსავლეთის ზონიდან ფინალში გასვლაზე ხუთი დაახლოებით ერთნაირი სიძლიერის გუნდი აცხადებდა პრეტენზიას: „სელტიქსი“, „დეტროიტ პისტონსი“, „ფილადელფია-76“, „ატლანტა ჰოუქსი“ და „მილოუკი ბაქსი“. ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები უკომპრომისო გამოდგა. საკმარისია ითქვას, რომ „სელტიქსისა“ და „დეტროიტ პისტონსის“ ერთ-ერთი შეხვედრის დროს „პისტონსის“ ცენტრალურმა მოთამაშემ ბილ ლემბირმა ბურთით ჰაერში ამხტარი ლარი ბერდსი იატაკს დაანარცხა, მაგრამ სამაგიეროც უმალ მიუზღო. როცა ისინი გააშველეს, ბურთი ლარი ბერდმა ლემბირს პირდაპირ სახეში სთხლიშა. ეს ჩხუბი ბილ ლემბირს 5 ათასი, ლარი ბერდს კი 3 ათასი დოლარი დაუჯდა. უნდა ითქვას, რომ „ბოსტონ სელტიქსი“ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო. „სელტიქსმა“ თითქმის ყველა მატჩი ერთი ხუთეულით ჩაატარა, რადგან მწვრთნელ კეისი ჯონსის აზრით, პირველი ხუთეულისა და გუნდის დანარჩენი წევრების კლასი ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა, ამის გამო გუნდი მოძთავ ლაზარეთს დაემსგავსა. ცენტრფორვარდს ბილ უოლტონს ფეხი ჰქონდა დაშავებული და მოედანზე იშვიათად გამოდიოდა, მძიმე ოპერაცია ელის კევინ მაკჰეილს. დაშავებული ფეხით თამაშობდა ცენტრში რობერტ პერიში და დამცველი დენი ეინჯიც. მხოლოდ ორი კალათბურთელი იყო ფორმაში: გუნდის კაპიტანი ლარი ბერდი და მცველი დენის ჯონსონი. მიუხედავად ასეთი სავალალო მდგომარეობისა, „სელტიქსი“ ფინალში გავიდა, ხოლო კევინ მაკჰეილმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ყველაზე საშიში დათვი, დაჭრილი დათვიაო“.

ფინალური სერიის პირველი ორი მატჩი „ლეიკერსსა“ და „სელტიქსს“ შორის ლოს-ანჯელესში გაიმართა. ორივე შეხვედრა „ლეიკერსმა“ მოიგო (126:113 და 141:112). განსაკუთრებით გამოყოფენ პირველ შეხვედრას, რომელშიც, როგორც კალათბურთის მიმომხილველები აღნიშნავენ, შესანიშნავად ითამაშეს „ლეიკერსის“ ფორვარდმა ჯეიმს უორთიმ (მან 33 ქულა შესძინა გუნდს და 10 შედეგიანი გადაცემა შეასრულა) და მცველმა ერვინ ჯონსონმა, რომელსაც ზედმეტსახელად „მეჯიქს“ (ჯადოქარს) უწოდებენ (29 ქულა და 13 შედეგიანი გადაცემა). „ლეიკერსის“ მწვრთნელმა პატ რაილიმ თქვა: ბოსტონელებმა ვერ გამოიყენეს პირველი ექვსი სროლა, და მოგების შანსი დაკარგესო. „სელტიქსის“ ლიდერმა ლარი ბერდმა, ზედმეტსახელად „ლეგენდამ“, გუნდს 32 ქულა შესძინა. მესამე, მეოთხე და მეხუთე მატჩები „სელტიქსის“ მოედანზე ბოსტონის „გარდენში“ გაიმართა. მესამე „სელტიქსმა“ მოიგო (109:106), მეოთხე მატჩის ბედი კი უკანასკნელ წამამდე გაურკვეველი იყო. მატჩის დამთავრებამდე 2 წამით ადრე „ლეიკერსის“ მცველმა მეჯიქ ჯონსონმა ზუსტად ტყორცნა ბურთი და „ლეიკერსი“ დააწინაურა — 107:106. „სელტიქსს“ ჰქონდა მატჩის გადარჩენის შესაძლებლობა, მაგრამ ლარი ბერდის მიერ ნატყორცნი ბურთი ასცდა მიზანს და „სელტიქსი“ დამარცხდა — 107:106. „ლეიკერსი“, მეხუთე შეხვედრაც რომ მოეგო, ჩემპიონი ხდებოდა, მაგრამ მატჩის პირველივე წუთებიდან ინიციატივა „სელტიქსმა“ იგდო ხელთ და ანგარიშით 123:108 გაიმარჯვა.

გადამწყვეტი აღმოჩნდა ლოს-ანჯელესში გამართული მეექვსე შეხვედრა. „ლეიკერსმა“ ანგარიშით 106:93 გაიმარჯვა და საერთო ანგარიშით 4:2 ნბა-ს ჩემპიონი გახდა.

მატჩის პირველი ორი პერიოდი „ბოსტონ სელტიქსის“ უპირატესობით წარიმართა და შეხვედრასაც იგი იგებდა (56:51), მაგრამ მესამე პერიოდში მასპინძლებმა გამოასწორეს მდგომარეობა და მატჩი „ლეიკერსის“ სასარგებლოდ დასრულდა. მესამე, 12-წუთიან პერიოდში „ლეიკერსმა“ 30 ქულა მოიპოვა, „სელტიქსმა“ კი მხოლოდ 12. ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს „ლეიკერსის“ მცველი მეჯიქ ჯონსონი, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა: „ჩვენ ერთად ვიმუშავეთ და ეს იყო მთელი გუნდის გამარჯვება“.

აღსანიშნავია, რომ კალათბურთის 78-მა მიმომხილველმა, რომლებიც ნბა-ს ჩემპიონატს აშუქებენ, ერთხმად აღიარეს, რომ ახლანდელ ჩემპიონატში საუკეთესო მოთამაშეა მეჯიქ ჯონსონი. თითოეულ ჟურნალისტს უნდა დაესახელებინა 5 საუკეთესო კალათბურთელი. მეჯიქ ჯონსონი მოხსენიებული იყო ყველა ანკეტაში. დიახ, 65 ჟურნალისტმა იგი პირველ ადგილზე დააყენა. ჯონსონმა 733 ქულა მიიღო და მან საგრძნობლად გაუსწრო მაიკლ ჯორდანს, რომელმაც 10 ანკეტაში პირველი ადგილი დაიკავა (449 ქულა) და ლარი ბერდს, რომელიც მხოლოდ ერთ ანკეტაში დაასახელეს პირველ ადგილზე (271 ქულა).

1956 წლიდან ნბა-ს ჩემპიონატში ასახელებენ საუკეთესო მოთამაშეს. განვლილი სამი ათეული წლის მანძილზე უფრო ხშირად საუკეთესოდ აღიარებენ გუნდის ცენტრებს. 1984, 1985 და 1986 წლებში საუკეთესო იყო თავდამსხმელი ლარი ბერდი. რაც შეეხება დამცველებს... მეჯიქ ჯონსონი მესამე დამცველია, რომელმაც ეს საპატიო წოდება მოიპოვა. 1957 წელს ეს პრიზი ერგო „ბოსტონ სელტიქსის“ მცველს ლეგენდარულ ბობ კოუზის, 1964 წელს — „ცინცინატ როიალზის“ მცველს ოსკარ რობერტსონს.

ცნობისათვის: სპორტული კარიერა დაასრულა ახალგანთქმულმა კალათბურთელმა ჯულიუს ირვინგმა — „დოქტორ ჯეიმ“. მის მიერ მოპოვებულმა საერთო ქულათა რაოდენობამ 30.000 შეადგინა და ახლა იგი, ქერიმ აბდულ-ჯაბარისა და უოლტ ჩემბერლენის შემდეგ, მესამე ადგილზეა. სპორტსმენს გამოეთხოვა თითქმის ყველა ქალაქი, სადაც კი „ფილადელფია-76“-ს უთამაშია. მაგალითად, ირვინგს ბოსტონში ლარი ბერდმა საზეიმოდ გადასცა ცნობილი დარბაზის „გარდენის“ პარკეტის სამახსოვრო ამონაჭერი და თქვა, რომ იგი კალათბურთის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი.

დავით იოსავაშვილი.

„სპორტპროგნოზი“

27-ე ტირაჟის შედეგები
(5-6 ივლისი)

1-1, 2-1, 3-1, 4-1, 5-1, 6-1, 7-1, 8-1, 9-2, 10-1, 11-1, 12-2, 13-2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07922

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.